არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება და დიზაინი და ავეჯის დიზაინი) შესყიდვის მიზნით კონკურენციისა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. თბილისი 21 აგვისტო 2012 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ტატო ურჯუმელაშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სააგენტოს თავმჯდომარე;
ბ) დავით მარღანია - საკონკურსო კომისიის წევრი, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დირექტორი;
გ) კონსტანტინე გუგეშაშვილი – საკონკურსო კომისიის წევრი, მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი;
დ) მანანა ფარტენაძე – საკონკურსო კომისიის წევრი, ფინანსური მენეჯერი;
ე) სოფიკო ბერიშვილი - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
ვ) ანა გაგნიძე - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, შესყიდვების კოორდინატორი;

დღის წესრიგი:

სსიპ – კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება და დიზაინი და ავეჯის დიზაინი) კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ–გვერდზე 2012 წლის 7 აგვისტოს გამოცხადებული #613 კონკურსის შედეგების განხილვა.

განხილვა:

საკონკურსო კომისიის წევრმა კონსტანტინე გუგეშაშვილმა მოახსენა საკონკურსო კომისიას, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2012 წლის 13 აგვისტოს და მთავრდებოდა 2012 წლის 20 აგვისტოს. 2012 წლის 20 აგვისტოს საკონკურსო წინადადება წარმოადგინა შპს „დემარკ"–მა. აღინიშნა, რომ შპს „დემარკ"–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი არ შეესაბამება საკონკურსო განცხადების მე–7 პუნქტის მოთხოვნას, კერძოდ არ შეიცავს საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებულ უნიკალურ ნომერს, ასევე არასწორად არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონკურსო კომისიამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის

მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე–4 მუხლის მე–8 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა შპს „დემარკ“–ის დისკვალიფიკაცია.

კომისიამ დაადგინა:

1. განხორციელდეს შპს „დემარკ“–ის დისკვალიფიკაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის“ მე–4 მუხლის მე–8 პუნქტის საფუძველზე.

2. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს დისკვალიფიკაციის თაობაზე წერილის გაგზავნა შპს „დემარკ“–ისათვის.

3. #613 კონკურსი დასრულებული იქნეს უარყოფითი შედეგით. არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების (მათ შორის ინტერიერის დაგეგმარება და დიზაინი და ავეჯის დიზაინი) შესყიდვის მიზნით ახლიდან გამოცხადდეს კონკურსი.

კომისიის თავმჯდომარე	ტატო ურჯუმელაშვილი
კომისიის წევრი	დავით მარღანია
კომისიის წევრი	კონსტანტინე გუგეშაშვილი
კომისიის წევრი	მანანა ფარტენაძე
კომისიის აპარატის წევრი	სოფიკო ბერიშვილი
კომისიის აპარატის წევრი	ანა გაგნიძე